ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 40 (1326)

9-15 ოქტომბერი, 1992 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახალხო ფრონტი, „დას-ი“, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, რესპუბლიკური პარტია

საარჩევნო ბლოკი

„11 ოქტომბერი“

11 ოქტომბერი პარლამენტის არჩევნების დღეა. საქართველოს მოსახლეობამ უნდა გააკეთოს არჩევანი, რომელზეც დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ბედი, ჩვენი მომავალი.

თქვენი არჩევანი გადაწყვეტს, გახდება თუ არა საქართველო სამართლებრივი სახელმწიფო, დამყარდება თუ არა სიმშვიდე და წესრიგი. სამწუხაროდ 28 ოქტომბრის არჩევნების შედეგად პარლამენტს გარეთ დარჩნენ ის პოლიტიკური ძალები, რომელთაც შეეძლოთ რეალურად წინ აღდგომოდნენ იმ დანაშაულებრივ პოლიტიკას, რომელმაც საქართველო დღევანდელ მძიმე მდგომარეობამდე მიიყვანა.

დღეს კვლავ არსებობს ფაქტობრივად ერთპარტიული პარლამენტის არჩევის

თანამემამულენო!

საშიშროება. ამის თავიდან ასაცილებლად ჩვენ, საქართველოს სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენელთ მიგვაჩნია, რომ მომავალ პარლამენტში არჩეულ უნდა იყვნენ ის პოლიტიკური ძალები, რომელთათვისაც დამახასიათებელია თავისუფალი აზროვნება, დამოუკიდებელი პოლიტიკური თვალთახედვა, საკუთარი პოზიციის პრინციპულად დაცვის უნარი, საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესების ერთგულება და რაც მთავარია, პატიოსნება და პასუხისმგებლობა.

ჩვენი აზრით სწორედ ასეთი თვისებების მქონე ადამიანებს აერთიანებს ბლოკი „11 ოქტომბერი“. ამ ბლოკში შემავალ ორგანიზაციებს — სახალხო ფრონტი, რესპუბლიკური პარტია, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, დას-ი, — არც კომუნისტური და არც პროკომუნისტური მმართველობის პერიოდში არ უღალატიათ საკუთარი პრინციპებისათვის და მიუხედავად იმისა, რომ ორივე რეჟიმის რისხვა პირველ რიგში სწორედ მათკენ იყო მიმართული, ჩრდილში არასოდეს გამდგარან და ყოველთვის მოვლენათა ცენტრში გვევლინებოდნენ. ეს იყო ჯგუფი, რომლის წიაღშიც ყოველთვის ღვიოდა სამართლიანობისა და პოლიტიკური [illegible]ალის ნაპერწკალი. სწორედ ამიტომ დაიმსახურეს მათ ახალგაზრდობის ნდობა.

ჩვენ მოგიწოდებთ 11 ოქტომბერს ხმა მისცეთ საარჩევნო ბლოკს „11 ოქტომბერი“.

თსუ პრეს-კლუბი

საქართველოს ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაცია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტური თვითმმართველობა

თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური სტუდენტური პროფკავშირი

საქართველოს ახალგაზრდობის ქრისტიანულ-დემოკრატიული ასოციაცია

ბატონი ნოდარ ნათაძე გუშინ ღამის სამ საათზე ჩამოფრინდა სოხუმიდან. იგი 4 ოქტომბერს ქართველ ჯარისკაცებთან ერთად იბრძოდა ლესელიძის და ბანთიდის მისადგომებთან. შემდგომ, რამდენიმე დღის განავლობაში იმყოფებოდა ტყეში. მის შესახებ თბილისში ათასნაირი ხმები გავრცელდა: ერთნი ამბობდნენ – დაიჭრაო, სხვები – ტყვედ ჩავარდაო... დღეს ბატონი ნოდარ ნათაძე ჩვენ გაზეთის სტუმარია.

ნოდარ ნათაძე:

მზერს დიდი უპირატესობა ჰქონდა

— ბატონო ნოდარ, გთხოვთ, გვიამბოთ, თუ რა მოხდა 3–4 ოქტომბერს გაგრასთან და ლესელიძეში?

— 4 ოქტომბერს, ნაშუადღევს, უკვე დაჭერილი იქნა მოწინააღმდეგის რადიო-დიალგი რუსულად, სადაც ნათქვამი იყო: არ ისროლოთ, არ გაამხილოთ თქვენი თავი საერთო ბრძანებამდე. ცხადი იყო, რომ სადღაც ხდებოდა მოწინააღმდეგის შეგროვება, ალბათ ზურგში. მთავარ გზატკეცილზე მოსალოდნელი იყო მოწინააღმდეგის მთავარი ტანკის ტ-72-ის გამოჩენა. ეს ტანკი გაგრაში ვერც ერთმა იარაღმა ვერ შეაჩერა. ჩვენ უშუალოდ გზატკეცილის (ბათუმი-ნოვოროსიისკი) ზემოთ მთის ქვემოთა ნაწილში ვაკონტროლებდით სიტუაციას, ისიც ძალიან მეჩხრად, ხალხის სიმცირის გამო. ვერ ვაკონტროლებდით ამავე მიზეზით ზღვის სანაპიროსაც. ჩვენი ყველაზე ბოლო პიკეტი იყო სასტრუმრო „უკრაინიდან“ რამდენიმე ასეული მეტრის ზემოთ განთიადისკენ, ყველაზე ვიწრო ზოლზე.

5-ში განთიადისას, ცნობილი გახდა, რომ რუსების კატერმა ღამით გადმოსვა საზღვაო დესანტი გაგრა-განთიადს შორის უკაცრიელ ხუთ-ექვს კილომეტრიან მონაკვეთზე. რაღაცა წყალჩასაშვები ნავებებით ეს დესანტი გავიდა ტყეში ზემოხსენებულ მთაზე.

ერთი უცნაური რამეც მოხდა. მიუხედავად ხალხის დიდი გაჭირვებისა ერთი ნაწილი მოიხსნა უშუალოდ არსებული ფრონტიდან და გადაყვანილი იქნა უშუალოდ რუსეთის საზღვარზე. მე არ მინახავს მას შემდეგ გენერალი ყარყარაშვილი, მაგრამ ვხედავ ამ ღონისძიების მიზეზს. როგორც ჩანს რუსების მხრიდან იყო დარტყმის საშიშროებაც.

მტრის იერიში დაიწყო ზემოდან, მთიდან ქვეითების მიერ. მათ შემოუტიეს. ტყეში მეჩხრად განლაგებულ ქართველ მებრძოლებს. ეს მოხდა დაახლოებით პირველის ნახევარზე, დღისით. საათნახევრის შემდეგ ამოქმედდა ტანკი და მისი თანხლები ჯგუფი (ქვეითები და ტექნიკა) გზატკეცილზე. ტანკი მოქმედებდა პროფესიულად, მან გაარღვია ჩვენი ყველა პიკეტი. ტანკმა და მისმა თანმხლებმა ჯგუფმა მალე მიაღწია განთიადს და გავიდნენ კიდეც ლესელიძის ბოლოს, საზღვრამდე. ვინც მთაში საგუშაგოზე იყო დარჩენილი – მოწყვეტილი აღმოჩნდა. ამათი უმრავლესობა ავიდა ზემოთ, მთაში და შეეფარა ტყეებს. ლესელიძეში დარჩენილთა ნაწილები, პოზიციების სრული დაკარგვის შემდეგ, გადავიდა რუსეთში. ერთი ნაწილი საღამოს, სიბნელეში გამოვიდა კარჭალით. ჩვენს მოწინააღმდეგეებში უმცირესობას შეადგენდნენ აფხაზები, უმრავლესობას ჩრდილოეთ-კავკასიელები, ყველაზე კვალიფიციერ ნაწილს – კაზაკები. ჩრდილოეთ-კავკასიელები და კაზაკები მოხალისეების როლში იყვნენ, მაგრამ არა ყველა. მაჩვენეს მკვდარი კაზაკის დოკუმენტი, სადაც ეწერა: **Вахмистр Платонов, Абхазская Гвардия, билет № такой-то.** ვახმისტრი დღეს მხოლოდ კაზაკებში არსებული წოდებაა. ამათ გარდა იყო გუდაუთაში მდგომი რეგულარული რუსული ნაწილის დამცველი „სპეცნაზის“ ჯგუფი. ხუთი მთგანი (ოფიცერი და ჯარისკაცები) მოკლეს გზატკეცილზე. ეს ინფორმაცია – ჩემგან შეუმოწმებელი – ამ შეტევის ერთ-ერთი მონაწილისგან მაქვს.

ამ უკანასკნელ ბრძოლაში, ისევე როგორც 3 ოქტომბრის გაგრის ბრძოლაში, მტერს დიდი-რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდა, განსაკუთრებით ქვეითი ძალით. როგორც მიამბეს 3 ოქტომბრის ამბავი (მე განთიადში 4 ოქტომბერს ჩავედი), ჩვენს მოწინააღმდეგეს ავტომატებით თოფქონი არ უშოქონია. მოქმედებდნენ, ძირითადად, ყუმბარმტყორცნებით (ნაღმტყორცნები) და ავტომატებზე მიმაგრებული ყუმბარმტყორცნებით, რომლებსაც სრულიად უეკონომიოდ ისროდნენ.

— ბატონო ნოდარ, რამ განაპირობა ჩვენი დამარცხება?

— გარდა ობიექტური მიზეზებისა, ჩვენს დამარცხებას ჩვენზე დამოკიდებული მიზეზები ჰქონდა, რამდენადაც შეიძლია ვიმსჯელო ჩემი არაპროფესიონალური თვალით. 1. არ არსებობდა (და ხალხის ნაკლებობის პირობებში, შესაძლოა, ვერც იარსებებდა) ყველა დეტალის გამთვალისწინებელი და მტრის ყველანირ შემოდწევაზე გაანგარიშებული გეგმა. 2. სხვადასხვა ნაწილების ბრძოლისუნარიანობა იყო სრულებით არათანაბარი. გაგრაში ნაკლებბრძოლისუნარიანმა ნაწილმა ფაქტობრივად გაიღო ფრონტი და მტრის უფრო ბრძოლისუნარიანი ნაწილებს ზურგში შესვლის საშუალება მისცა. 3. არასაკმარისი მომზადება, არასაკმარისი დისციპლინის ჩათვლით. 4. არასაკმარისი მომარაგება ტყვია-წამლით.

უნდა განვმარტო, რომ ეგულისხმობ დისციპლინაში. პირველ ყოვლისა, ჯარისკაცი უნდა თხრიდეს სანგრებს, ჯარისკაცი მუდმივად უნდა იყოს დაკავებული პოზიციების გამაგრებაში, გაფართოებაში, გარეთ გაცნობაში, იარაღის უკეთ დაუფლებაში და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. არ ბობს ფიზიკური დაღლის ისეთი სტადიები, როდესაც ადამიანს უჩლუნგდება თვით სიცოცხლის ინსტინქტიც კი. ასეთ სტადიებზე უშვებს საბედისწერო შეცდომებს მთამსვლელი და, რა თქმა უნდა, ჯარისკაციც. როდესაც ჯარისკაცი დაღლილობის გამო ჩამოჯდება სახიფათო მონაკვეთის გავლის დროს, ან როცა ტყეში დაგდებს ყუმბარმტყორცს დაღლილობის გამო, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი თავისთავს ვეღარ სძლევს, და მხვერპლს, ძირითადად ეს იწვევს. ბრძოლა არის შეჯიბრება ორ ადამიანს ან ადამიანთა ორ ჯგუფს შორის და იგებს ის, ვინც თავის ბუნებრივ ადამიანურ შესაძლებლობებს უფრო სრულად გამოიყენებს. დისციპლინა სხვა არა არის რა, თუ არ ადამიანის ძალ-რბილშე გამეჯდარი ჩვეა, აუცილებლად გაკეთოს ის, რასაც საჭიროება მოითხოვს განურჩევლად მისი ორგანიზმის მდგომარეობისა. დისციპლინა აქცევს ხალხს, ადამიანთა ჯგუფს მართვად ერთეულად, ანუ საშხედრო ნაწილად. დისციპლინა არ არის დამამცირებელი. იგი ის ჯოხი კი არ არის, რომელსაც მე მირტყამენ როგორც ხელქვეითს, არამედ ის ჯოხია, რომელსაც მე ვეყრდნობი, როდესაც მიჭირს ჩემი დატვირთვის სიმძიმიდან გამომდინარე.

მე მიმაჩნია, რომ უდიდესი დანაშაულია ბრძოლაში ისეთი კაცის გაშვება, რომელსაც არა აქვს სათანადო ცოდნა და სათანადო წვრთნა, თუნდაც რეზერვისტი იყოს, ან რუსულ ჯარგამოვლილი კაცი. მოგეხსენებათ, რუსული იმპერია მაინცდამაინც არ ცდილობდა ჯარში მყოფი ყველა ქართველისთვის რეალური სამხედრო ცოდნა მიეცა. სტალინს ვერავინ დაბრალებს ადამიანთა სიცოცხლის დიდ გაფრთხილებას, მაგრამ მას ომის განმავლობაში თითქმის არ გაუშვია ფრონტზე კაცი მინიმუმ თვენახევრიანი და სამთვიანი მომზადების, ეს იგი ვადაშემცირებული მომზადების გარეშე. მაშინ ქვეითის იარაღი იყო შაშხანა, კარაბინი, ხელისა და დაზგის ტყვიამფრქვევი, ხელყუმბარა. შესაბამისად უფრო მარტივი იყო ტაქტიკაც. ახლა კი ათასნაირი ახალი იარაღია. შესაბამისად გართულებულია ტაქტიკაც. გაუწვრთნელი კაცის ბრძოლა გაწვრთნილის წინააღმდეგ კაცის სასაკლაოზე გაშვებაა.

— მარტივად ვთქვათ, მოგეპოვებათ თუ არა, გულის სიღრმეში მაინც, საქართველოს ხსნის რეცეპტი?

— საქმე შემდეგნაირად წარმოიდგენია. პირველ ყოვლისა, უნდა შეიქმნას თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომელსაც ექნება დროებითი, მაგრამ თითქმის სრული ხელისუფლება. მასზე მაღლა უნდა იდგეს მხოლოდ პარლამენტი. კომიტეტის თავმჯდომარე უნდა იყოს სახელმწიფოს მეთაური და კომიტეტს უნდა ქმნიდეს იგი მხოლოდ საკუთარი არჩევნით. სამაგიეროდ, იგი პასუხისმგებელი უნდა იყოს, თავითაც და სვინდისითაც, ერისა და ისტორიის წინაშე; არავითარი ყურადღება არ უნდა მიექცეს თანამდებობებს, წარსულ დამსახურებას და „დამსახურებას“. მით უმეტეს დამსახურებას ერთი ხელისუფლების დამხობისა და მეორის მოსვლის წინაშე, რაც ერისათვის არავითარ დამსახურებას არ წარმოადგენს და წმინდა შინაგანი აქციაა (რა თქმა უნდა, არჩევნები ისე უნდა ჩატარდეს, როგორც დაგეგმილია. მას ხელი არაფერმა არ უნდა შეუშალოს, რადგანაც მასზეა დამოკიდებული ჩვენი გადარჩენა).

— როგორ წარმოგიდგენიათ თავდაცვის კომიტეტის მუშაობა?

— თავდაცვის კომიტეტის მოვალეობაა:

ა/ არმიის შექმნის ორგანიზაცია, რაც ღღემდე აბსოლუტურად არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ბ/ სამხედრო წარმოების ორგანიზაცია. ოპონენტები გეუბნებიან, როგორ ვაწარმოოთ შეიარაღება, როცა გვაკლია ნედლეული, გვაკლია დაზგები, არ გვაქვს ტექნოლოგია. ჩვენ ამ სიტუაციაში ვიმყოფებით. ეს ეს ეს. ეს ეს ეს. ეს ეს ეს

ერის ღირსების დამცველთა ასოციაცია „იმედი“ შეიქმნა 1988 წელს, მარნეულის ამბების შემდგომ. „იმედი“ ყოველთვის იბრძოდა წინა ხაზზე და არ გამოუტოვებია არც ერთი მეტნაკლებად დიდმასშტაბიანი კონფლიქტი, რომლებიც მოჰყვა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღზევებას.

„იმედი“ გვარდიის შექმნის სათავეებთან დგას. სწორედ მის ბაზაზე იყო დაკომპლექტებული თავიდან ბოლომდე გვარდიის პირველი ასეული, რომელსაც მეთაურობდა დავით ხომასურიძე.

„იმედის“ შემადგენლობაში გაიარა საბრძოლო და სამხედრო მომზადება არა ერთმა ჩვენმა ცნობილმა მეომარმა, რომლებმაც შემდგომში თავადვე ჩამოაყალიბეს საბრძოლო ფორმირებები. „იმედის“ აქტიური წევრები იყვნენ მევლუდ მამულაშვილი, რომელიც დღეს კასპის ბატალიონს მეთაურობს, მიშა კიკნაძე — სამხედრო კოლიციის ბატალიონის მეთაური და ამავე ბატალიონის ოფიცრები: ზვიად მაისურაძე, ნოდარ ქინქლაძე, დავით გაგნიძე, გოჩა კუდუხაშვილი და სხვანი...

თითქმის მთლიანად იმედელებისაგან არის დაკომპლექტებული მარნეულის 26-ე ბატალიონი, რომელმაც თავი გამოიჩინა 30 აგვისტოს კოლხიდა-ფოთელი ჯვრის აღებაში...

დაარსების დღიდან „იმედის“ უცვლელი თავკაცია დავით ხომასურიძე, აწ უკვე მარნეულის ბატალიონის მეთაური. 30 აგვისტოს, გაბრაში განხორციელებული ოპერაციის შემდგომ დავით ხომასურიძეს მიენიჭა გვარდიის კოლკოვნიკის წოდება, რომელიც დაჭრილს პირველად ეძიმებამ მიულოცეს.

— ბატონო დავით, თქვენ აფხაზეთში საბრძოლო მოქმედებების დაწყების დღიდან ცეცხლის ხაზზე, იმყოფებოდით. თქვენდამი რწმუნებული მარნეულის ბატალიონი მონაწილეობდა გაგრის შეტევის მომზადებასა და განხორციელებაში. თუ შეიძლება, უამბეთ მკითხველს ნანახის, განცდილის შესახებ, იმ პრობლემების თაობაზე, რაც ქართული ჯარის წინაშე დაყენა ომმა.

— აფხაზეთში საომარი მოქმედების პირველი დღეებიდანვე გამოაშკარავდა უამრავი პრობლემა, რომლებიც შემდეგ დღეებში კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა. ისინი მრავლად არიან და არც თუ ისე იოლად მოსაგვარებელია. ოფიცერთა კადრების სიმცირე, სამხედრო მრეწველობის უქონლობა, დილეტანტიზმი, უდისციპლინობა, უყაირათობა, ქაოსი... რომელი ერთი ჩამოვთვალო.

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ საბჭოთა რეჟიმის სამოცდაათწლიანმა პერიოდმა დააკნინა და დაშრიტა ქართველ კაცში მებრძოლის, სამშობლოს დამცველის სულისკვეთება, რადგან თავად სამშობლოს ცნება იყო გაყალბებული. ქართველი ჭაბუკები, ძირითადად, საბჭოთა არმიაში სამეურნეო საქმეებში „იწრთობოდნენ“ ვიდრე საბრძოლო მომზადებაში. ვინც სამხედრო სასწავლებელს ამთავრებდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ცდილობდა თბილ ადგილებზე მოკალათებული-ყო: კომისარიატებში, პარტიულ-კომკავშირულ სტრუქტურებში და სხვა. აქედან გამომდინარე, სამხედრო საქმის მცოდნე ოფიცრები არ გვყავს, თორემ ჩინით ოფიცერი დღეს რომ არის საქართველოში იმდენი, მგონი, სამამულო ომის შემდეგ აღარ ყოფილა. სწორედ ასეთი „ოფიცრები“ ინიშნებიან არც თუ იშვიათად ამა თუ იმ თანამდებობაზე. ცუდად არ გამიგოთ, მე პირადად ვიცნობ (მცირედი გამონაკლისის გარდა) მაღალი ჩინის ბევრ ოფიცერს, რომელსაც საბრძოლო გამოცდილების, ომის ხელმძღვანელობის არანაირი [illegible]ი და გამოცდილება არ აქვს.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა მოხ[illegible]სეთა რაზმებზე. ენთუზიაზმით, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულმა მოხალისეთა დიდმა ნაწილმა სამ დღეში, შეიძლება ითქვას, ხალისი დაკარგა.

ეს, ძირითადად, ორი მიზეზის გამო მოხდა, პირველი: მათ თავიანთი ნამოქმედარის შედეგი ვერ ჰპოვეს, გამარჯვება ვერ ნახეს. მეორე: მათ გვერდით არ იდგნენ მეთაურები, ვინც უნდა დასახოს გეგმა, უხელმძღვანელოს შეტევას. როცა სამხედრო რაზმი საბრძოლო მოქმედებაზე მიდის, მეთაური ვალდებულია ახლდეს მას, წინ უძღოდეს მებრძოლებს. მე ვიდეოზე ჩაწერილი მაქვს მოხალისეების სიტყვარი. ისინი გულისტკივილით ლაპარაკობენ, ჩვენი მეთაური ჩვენთან არ მოდისო. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, აფხაზეთში ჩვენი მოხალისეები, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ბედის ანაბარად იყვნენ მიტოვებულნი. სწორედ ამ მიზეზის გამო დაიშალა იქ ერთ-ერთი ბატალიონი.

კიდევ ერთი პრობლემა გამოააშკარავა აფხაზეთის ომმა- უყაირათობა. ხშირად ისმის ხოლმე საჩივარი: ტყვია წამალი არ გვყოფნის, სათანადო ტექნიკა არ გვაქვს და სხვა. მე პირიქით ვიტყვი — ტყვია-წამალი საკმარისზე მეტი ჩამოვიდა, მაგრამ არ გვყოფნის იმიტომ, რომ უყაირათოდ ვხარჯავთ:არ გვყოფნის იმიტომაც, რომ ბევრი ოფიცერი და ჯარისკაცი ავტომატს შიშის გამო ისვრის მთელი ღამე, რომ მტერს შეახსენოს, აქ ვარ და ვფხიზლობ. ამ დროს, ასე ვთქვათ, თავის თავს ყიდის.

ერთი ღამის განმავლობაში, ჩვენს მეზობელ ქართულ საგუშაგოზე, განუწყვეტლივ ისროდნენ. გამთენიისას ცეცხლი შეწყდა. ჩვენ შვებით ამოვისუნთქეთ, მგონი ტყვია-წამალი შემოელიათ და ცოტათი მაინც დავისვენებთ-თქო. მაგრამ გავიდა ათი წუთი და გაისმა აფეთქებები. ჩვენს მახლობლად, საგუშაგოზე ნამსხვრევები ცვიოდა. ვერ გავერკვეთ მტერი გვებრძოდა, თუ მოკეთე. მეორე დღეს გავიგეთ, თურმე ტყვია-წამალი რომ შემოელიათ „ლიმონკებზე“ გადასულან მტრის შესაშინებლად. ასე დაწვეს ორი ყუთი ხელ-ყუმბარა და ათასობით ავტომატის ტყვია.ამგვარი ფუფუნების უფლებას ძლიერი ქვეყნის ჯარისკაცებიც ვერ მისცემენ თავს, ჩვენ კი ვაძლევთ. და ეს მაშინ, როცა სამხედრო მრეწველობა არ გვაქვს და თითოეულ ტყვიაზე რუსეთის ხელშემყურე ვართ. როცა უნდა მოგვცემენ, როცა უნდა — არა. ის, რომ სამხედრო სამრეწველო კომპლექსი დღემდე არ არსებობს საქართველოში და რომ ხელისუფლება არც კი ფიქრობს მის შექმნას, ეს სხვა პრობლემა და სხვა საკითხია.

განა შეიძლება გვერდი აუარო იმას, რომ სამხედრო წესდება დღემდე არ არსებობს, თავი რომ დავანებოთ სამხედრო სახელმძღვანელოებს? ვინ უნდა იფიქროს, პირველყოვლისა, მათ შექმნაზე, თუ არა ხელისუფლებამ?

საქმე ის გახლავთ, რომ აზრა მხოლოდ მოხალისეებს,არამედ ბევრ გამოცდილ მებრძოლსაც გაუტყდა გული იმის გამო,რაც აფხაზეთში ხდებოდა... მე იქ ბევრი რამ ვნახე... არ დამიჯერებთ, მაგრამ ყველაფერთან ერთად იქ ვაჭკაცობის, სხვის ნამოქმედარის მოპარვის შემთხვევებიც იყო...

კიდევ ერთი პრობლემა.

გაგრაში იყო მრავალხელისუფლებიანობა ამ სიტყვის. პირდაპირი მნიშვნელობით. კომენდანტი ცალკე ხელისუფლება იყო. სამხედრო შეიარაღების ხელმძღვანელი, უშიშროების წარმომადგენელი და სახელმწიფო საბჭოს რწმუნებული კიდევ ცალ-ცალკე. თანაც ყველა მათგანს მიაჩნია, რომ თავად არის პირველი,კაცი, რომელსაც ყველანი უნდა უთანხმმბოდნენ. ომის დროს ყველაფერი უნდა ემორჩილებოდეს ერთიან ხელმძღვანელობას, რაც, სამწუხაროდ არ იყო.

გემახსოვრებათ, ალბათ, ე.წ. ალპიურ გზაზე ავტობუსის დაწვის ამბავი. აი, ამ ავტობუსის გაგზავნის შესახებ სამხედრო ხელმძღვანელობისათვის არავის უცნობებია. უბრალოდ დავინახეთ, რომ [illegible] კვამლი ადის. სანამ გავერკვეთ სიტუაციაში და სანამ მაშველი ძალა გავგზავნეთ ავტობუსი დაიწვა, ხოლო ქართველი ჭაბუკები დაიღუპნენ. არადა ის გზა, ადრე, ჩვენ ორჯერ გაგიარეთ ბრძოლებით და გავწმინდეთ იგი . ტყეში მიმავალი, სახიფათო გზაა. აი, ყოველივე ამის შემდეგ, ასეთი დაძაბული სიტუაციის დროს აქ ავტობუსით აგზავნიან ხალხს რაღაც დავალებით. ავტობუსით ომში კაცის გაგზავნა ნიშნავს პირდაპირ სასიკვდილოდ გაგზავნას. სამწუხაროდ, ასეთი ფაქტებიც იყო.

არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა მებრძოლების წახალისების თუ დასჯის მეთოდების უქონლობა, რაშიც, მე ვიტყოდი, ყველაზე მეტად ჩანს არასერიოზული მიდგომა ქართული ჯარისადმი ხელისუფლების მხრიდან. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობს ფაქტიურად გამოუცხადებელი სამამულო ომი. რამდენი გულანთებული ვაჭკაცი დაიღუბა გმირულად და ვაჭკაცურად, მაგრამ არცერთ მათგანს არანაირი სამხედრო ჯილდო არ მიუღია. ეს არ არის უმნიშვნელო საქმე. ჩვენს მებრძოლებს დღეს გულზე მზოლოდ დაღუპული მეჯობრების სურათები და თავისთვის გადანახული ტყვიები ჰკიდიათ. ბევრ მათგანს ჯილდო ეკუთვნის. ქვეყანა, ხალხი მოწიწებითა და სიყვარულით უნდა ეპყრობოდეს თავის დამცველებს. ასეა ყველგან, ასე უნდა იყოს საქართველოში.

არადა მართლაც მამაცურად იბრძოდნენ ვანო მიქელაძე, ნოდარ პაქსაძე, სოსო და მალხაზ ბახტურიძეები, ნუგზარ შავბერუაშვილი, პაატა ნაზარიშვილი; გმირულად დაიღუპნენ ბადრი ბაგაური, მირონ ხორგუანი, ლევან ასლანიკაშვილი...

— ჩვენზე, საინფორმაციო საშუალებებზე, რა აზრის ხართ?

— არაერთგვაროვანი, ხშირად ძალზე კრიტიკულიც, და სწორედ იმ პრობლემათა მიფუჩეჩების გამო,რომელზეც ვისაუბრე. სხვა საკითხია პატიოსნება და ობიექტურობა ინფორმაციის გადაცემის დროს, რაც ბრძოლის ხაზზე მყოფი კაცისათვის განსაკუთრებით საგრძნობია. აქ ნებისმიერი სიყალბე სწვდება ყურს.

ასე მაგალითად, საინფორმაციო საშუალებები აცხადებენ: მოწინააღმდეგე მხარემ ქართველთა პოზიციებს შემოუტია, ჩვენმა მებრძოლებმა უკან დაიხიეს, მაგრამ მტერს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენესო. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამგვარ „ინფორმაციებს“ ვისმეს გამხნევება

• ამის გაკეთება ყოველად მიუტევებელია ომის დროს. ამას საყვედურით არ ვამბობ, [illegible] ომის თუმა მინდა, რომ ომის დროს, ყველაფერი [illegible] მიზანს, ომში გამარჯვებას უნდა ემსახურებოდეს.

—როგორც ცნობილია, საომარი მოქმედების წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა დაზვერვა. რას გვეტყვით ჩვენი დაზვერვის შესახებ?

—დაზვერვას მე დავყოფდი ორ ნაწილად: ტაქტიკურ და სტრატეგიულ დაზვერვად. აფხაზეთში ტაქტიკური დაზვერვა ხორციელდებოდა უშუალოდ ბატალიონების სადაზვერვო სამსახურების მიერ და, ასე თუ ისე, გარკვეული სურათები გვქონდა . მოწინააღმდეგის მოქმედების (განლაგება, მანევრირება და ა.შ.) შესახებ.რაც შეეხება სტრატეგიულ დაზვერვას, რომელიც უნდა განახორციელებინა საქართველოს დაზვერვისა და ინფორმაციის სამსახურს, რომელსაც ოპერატიულად უნდა მოეწოდებინა ჩვენხვის ყველანაირი სამხედრო-სტრატეგიული, განებავთ ტაქტიკური ცნობა მოწინააღმდეგის შესახებ, ფაქტიურად ნულის დონეზე იყო.

— ბატონო დავით, ნეგატიურ მხარეებზე და პრობლემებზე კი ისაუბრეთ,მაგრამ ნუთუ არ იყო პოზიტიური მხარეებიც? მე ვიცი, რომ თქვენდამი რწმუნებულმა მარნეულის ბატალიონმა, სხვებთან ერთად, ორჯერ განახორციელა წარმატებული ოპერაცია აგვისტოს თვეში ბზიფის მიმართულებით. გვიამბეთ მათ თაობაზე.

— დიახ, მართალი ბრძანდებით, მაგრამ აჯობებდა ამის შესახებ თავის დროზე თქმულიყო.

საერთოდ, რაც აფხაზეთში იმყოფება გვარდია და თავდაცვის სამინისტროს ჯარები, ,ჩვენი მხრიდან გაგრის ზონაში განხორციელდა ორი დიდი შეტევა.ფაქტიურად, სულ ორი შეტევა იყო. მეტი არც ყოფილა. პირველ შეტევაში მხოლოდ ჩვენი ბატალიონი მონაწილეობდა. შემდეგ მოგვეშველა 28-ე და „ავაზის“ ბატალიონები, ეს იყო ჩვენი მხრიდან უსისხლო ოპერაცია, ერთი კაცი დაგვეღუპა, დაჭრილები თითქმის არ ყოფილა. საქმე ასე იყო. მე მომივიდა ჩვენი მზვერავების ინფორმაცია, რომ გამთენიისას აფხაზები ჩეჩნებთან ერთად აპირებდნენ შეტევას ჩვენს პოზიციებზე . ამიტომ გადავწყვიტე დაგვესწრო და იქით შეგვეტია წავიწოეთ კილომეტრნახევარი, დავიკავეთ კარგი პოზიცია და გავმაგრდით. ალპიურ გზას აკონტროლებდა „შავნაბადას“ ბატალიონი, ცენტრალურ გზას აკონტროლებდა ჩვენი ბატალიონის ერთი ნაწილი, რომელსაც მე და გია ნებიერიძე ვხელმძღვანელობდით. მარცხენა ფლანგს იცავდნენ ჩვენი ბიჭები გია მიქელაძის და შმაგი ლიკლიკაძის ხელმძღვანელობით, მარჯვნივ იდგა 28-ე ბატალიონი.. როგორც მოგახსენეთ, შეტევა უმსხვერპლოდ მოვიგერიეთ. ოპერაცია წარმატებით ჩატარდა იმიტომ, რომ მტერს დავხვდით იქ, სადაც არ გველოდა.

მეორე დიდმასშტაბიანი ოპერაცია განახორციელეთ 30 აგვისტოს. მასში მონაწილეობდნენ თელავის, შავნაბადას, ავაზის, მარნეულის და საქართველოს მხედრიონის ნაწილები. ბრძოლა ასეთი თანმიმდევრობით წარიმართა. იერიშზე თავდაპირველად გადავიდა თელავის ბატალიონი დათო მარტიაშვილის მეთაურობით, მას ტექნიკით მხარს უმაგრებდა შავნაბადისა და მარნეულის ბატალიონები. დაახლოებით 20—30 წუთი დასჭირდა მოწინააღმდეგის ოთხი პიკეტის აღებას. ბრძოლით გავიარეთ კოლხიდა და შევჩერდით იფნართან. ფლანგებიდან შეტევა განახორციელეს მხედრიონმა და 28-ე ბატალიონმა... ორივე ამ შეტევის დროს მოწინააღმდეგე მძიმედ დაზარალდა...

ამის შემდეგ, სამწუხაროდ, ჩვენს შენაერთებს შეტევა აღარ განუხორციელებიათ და წინ აღარ წავსულვართ...

— სამწუხაროდ, გუშინწინ აფხაზეთის და მთიელთა კონფედერაციის ჯარებმა დიკავეს კოლხიდა და ჭალაჭი გაგრა, გუშინ — ლესელიძე. არის უზარმაზარი მსხვერპლი ჩვენი მხრიდან. მოელოდით, ასეთ შედეგს?

— ნაწილობრივ მოველოდი და რატომ. უკვე მოგახსენეთ, ჩვენი ბოლო შეტევიდან ოთხი დღის შემდეგ დაიდო რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ცეცხლი უნდა შეწყვეტილიყო.უნდა შექმნილიყო სამხედრო ძალების დაშორიშორების ბუფერული ზონა. ხელშეკრულებამ კი შედეგად აფხაზეთში ის მოიტანა,რომ სოხუმში დაკონსერვდა სიტუაცია, სადაც საქართველოს მტერი განიცდიდა დიდ დაწოლას. იქ, სადაც ჩეჩნს მტერს აწყობდა რუსებმა დაშორიშორების ბუფერული ზონა გააკეთეს. შეწყვიტეს. ცეცხლი და სოხუმის ზონაში ჩადგა დამკვირვებლები, რომლებსაც უნდა ედევნებინათ თვალი ამ ხელშეკრულების შესრულებაზე. გაგრაში კი ჩვენ ორი კვირის განმავლობაში ამაოდ ველოდით დამკვირვებლებს, ისინი არ მოვიდნენ. შედეგად კი რა მოხდა? ფაქტიურად ამ ხელშეკრულების ძალით ნაბრძანები გვქონდა წინ არ წავსულიყავით, ამავე დროს უნდა შეგვენარჩუნებინა პოზიციები. ჩვენ გადავედით საჭარაულო რუბიკონზე და სხვა ფუნქცია დავკარგეთ. მტერმა სული მოითქვა სოხუმის მიმართულებით, შეისწავლა ჩვენი პოზიციები გაგრის მიმართულებით და შედეგიც სოხუმია.

ერთ-ერთი ძირითადი სიცრუე ვერეშმაკობა ამ ხელშეკრულებისა ის არის, რომ მათ მიაღწიეს იმას, რაც სურდათ: სოხუმში შეგვაწყვეტინეს საბრძოლო მოქმედებები და,გაგრიდან რუსეთის ფედერაციის საზღვრამდე გახსნეს გზა. ხელშეკრულებით მტერმა დრო მოიგო და ხელფეხი გაიხსნა. და ამაში ლომის წილი უძევს რუსეთის ხელისუფლებას და არმიას.

„მათი წყალობით“ საქართველო კიდევ ერთხელ დარჩა მოტყუებული...

ესაუბრა კობა ლიკლიკაძე

6 ოქტომბერი 1992

დავით ხომასურიძე:

მე იქ ბევრი რამ ვნახე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლოკის „11 ოქტომბერი“ ორი კანდიდატი — პრემიერ-მინისტრის ორი მოადგილე

ფაქტია, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები მეტად დაკავებული, მოუცლელი ხალხია, მით უფრო, როცა ეს წარმომადგენლები პრემიერ— მინისტრის მოადგილეებს წარმოადგენენ.

ამის დასტურად ისიც კმარა, რომ ბატონები რომან გოცირიძე და პაატა კოღუაშვილი წესიერად საუბროდაც კი ვერ დავიმარტოხელეთ (საკუთარი ბლოკის გაზეთისთვის!) და იძულებულნი ვართ იმგვარი მოკლე პუბლიკაციებით წარმოგიდგინოთ, ქვემოთ რომ იხილავთ.

რომან გოცირიძე დაიბადა 1956 წელს. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. არის ამავე უნივერსიტეტის დოცენტი. 1992 წელს დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილედ, ხელმძღვანელობს ეკონომიკური რეფორმების შტაბს.

ავტორია 30 სამეცნიერო ნაშრომისა და 100-მდე პუბლიცისტური წერილისა.

1990 წელს არჩეულ იქნა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატად, იყო ეკონომიკური კომისიის თავჯდომარის მოადგილე, ოპოზიციური ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრი“ ერთ-ერთი ლიდერი.

დღიდან დაარსებისა არის საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი. 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრის თბილისის მე-2 საარჩევნო ოლქში ბლოკიდან „11 ოქტომბერი“

რომან გოცირიძე:

რაზომ ვარ ბლოკში „11 ოქტომბერი“

ვარ, იმიტომ,რომ:

ამ ბლოკს ახასიათებს რამდენიმე ისეთი ძირითადი თვისება,რომელიც მას მატებს ღირსებას და ანიჭებს განსაკუთრებულ ელფერს.

პირველ ყოვლისა, ეს არის უაღრესად პროფესიული ნიშნით დაჯილდოებული ახალგაზრდების დიდი რაოდენობა, რომლებიც წარმოადგენენ ზომიერ, უკიდურესობისაგან დაზღვეულ, საღი და გაწონასწორებული გონების პიროვნებებს.

აქ პრიან გამოჩენილი, მრავალნაცადი ერისკაცები,რომელთაც აქვთ დიდი ცხოვრებისეული სიბრძნე, მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობის გამოცდილება.

აქედან გამომდინარე, ბლოკი წარმოადგენს ახალგაზრდობისა და მოწიფული თაობის ჰარმონიულ სინთეზს, მამათა და შვილთა თანხმიერების იშვიათ ნიმუშს, რაც, სამწუხაროდ, ესოდენ გვაკლია ჩვენს დღევანდელობაში.

ბლოკში გაერთიანებული დეპუტატობის კანდიდატების ცალსახა ნიშანია პატიოსნება, მაღალზნეობრიობა, მძაფრი დაპირისპირება კორუმპირებულ სამყაროსთან, საქმისადმი თავდადება, არაკონფორმიზმი.. ყოველივე ეს მათ დაამტკიცეს, აჩვენეს თავიანთი საქმიანრობით საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, და, რასაკვირველია, პოლიტიკური მოღვაწეობით.

ბლოკის ძირითად ბირთვს შეადგენენ მზარდი პოლიტიკური ფიგურები, რომლებიც ჩვენს სინამდვილეში ახალი ყაიდის პოლიტიკურ მოღვაწეთა სახეს ქმნიან.

ამ მოღვაწეთ გამოარჩევთ თანამიმდევრულობა, ერთგულება მაღალი ღირებულებებისა და იდეალებისადმი, პრინციპულობა საკუთარი პოზიციის დაცვისას, საჭიროების დროს უკომპრომისობა, საჭიროებისას — აუცილებელ კომპრომისზე წასვლის უნარი, პიროვნული ინტერესების დაქვემდებარების ნიჭი სახელმწიფოებრივი ინტერესებისადმი, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან პიროვნულ ურთიერთობებში ლოიალობა და მიმტევებლობა.

ესენი არიან ადამიანები, რომლებიც საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღორძინების დღიდან იყვნენ და არიან ერთად, მიდიოდნენ და მიდიან ერთი გზით, ენდობოდნენ და ენდობიან ერთმანეთს.

რაც შეეხება ბლოკში გაერთიანებულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს, ისინი თავიანთი ორიენტაციით. არიან დასავლური მიმართულებისა; ხოლო ეს მიმართულება განსაზღვრავს დღეს მსოფლიო პოლიტიკის დონეს...

ყოველივე ამის შემდეგ, იმედია, გასაგებია თუ რატომ ვარ ბლოკში „11 ოქტომბერი“.

პაატა კოღუაშვილი დაიბადა 1956 წელს. დამთავრებული აქვს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი. სხვადასხვა დროს მუშაობდა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, აბრომრეწვში. იყო რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე. ამჟამად არის საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილე.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

1990 წელს არჩეულ იქნა უზენაესი საბჭოს დეპუტატად. უზენაეს საბჭოში ხელმძღვანელობდა აბრარული რეფორმის ქვეკომისიას. იყო ოპოზიციური ფრაქციის „დემოკრატიული ცენტრის“ ერთ-ერთი ლიდერი.

დღიდან დაარსებისა არის საქართველოს სახალხო ფრონტის დარბაზის წევრი. 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კენჭს იყრის №5 საარჩევნო ოლქში (ქართლი, მესხეთ-ჯავახეთი) ბლოკიდან „ 11 ოქტომბერი“.

პაატა კოღუაშვილი:

ქართველი ხალხი ქართულმა მიწამ უნდა გამოკვებოს!

— ბატონო პაატა, რა მნიშვნელობას ანიჭებთ, რას ელით 11 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისაგან?

— ამ არჩევნების მნიშვნელობაზე იმდენი ითქვა, დაიწერა, და საერთოდ, იმდენად ნათელია მისი ჩატარების აუცილებლობა, ვფიქრობ ზედმეტია მასზე გამოწვლილვით მსჯელობა. მოკლედ კი ვიტყოდი, რომ ხალხს ეძლევა საკუთარი ნების გამოხატვის საშუალება; საქართველოში გაჩნდება ლეგიტიმური უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, რომელიც თავის მხრივ ჩამოაყალიბებს სტაბილურ, სრულფასოვან მთავრობას.

ლეგიტიმური ხელისუფლების არსებობის ფაქტი მოაწესრიგებს (უნდა მოაწესრიგოს) ჩვენს შინაურ არეულობას, გაზრდის ჩვენს საერთაშორისო ავტორიტეტსაც, დასავლეთის ქვეყნებს, საქმაინ წრეებს მისცემს შესაძლებლობას უფრო ფართოდ და თამამად ითანამშრომლონ საქართველოსთან... ერთი სიტყვით, შეიქმნება ხელსაყრელი პირობები სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის კურსის თანმიმდევრული გატარებისათვის.

— როგორც მიწის რესურსებისა და რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, თქვენ სათავეში ედექით მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის საქმეს. როგორ შეაფასებდით ამ მიმართებით პირველი ეტაპის შედეგებს?

— კომიტეტმა ძნელ პირობებში, შედარებით სწრაფად შესძლო ჩაეტარებინა მიწის განკერძოებასთან დაკავშირებული მთელი რიგი სამუშაოები. ბევრ რაიონში მიწების გადაცემა უკვე დამთავრებულია, დანარჩენებში გრძელდება.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, მიწის პრივატიზაცია შემადგენელი ნაწილია სასოფლო-სამეურნეო რეფორმისა. ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი.. მოსავლის აღების შემდეგ აიწყება მიწის პრივატიზაციის მეორე ეტაპი.

უკვე ახლავე შეიძლება ითქვას: ის, რომ მიწას პატრონი გამოუჩნდა, რომ გლეხი თავს მესაკუთრედ გრძნობს, უკვე დიდი შედეგია. მის პრაქტიკულ ეფექტს არცთუ დიდი ხნის შემდეგ მთელი ჩვენი მოსახლეობა იგრძნობს. ამის გარანტიას იძლევა მოწინავე მსოფლიო გამოცდილება.

— რამდენიმე ხნის წინ დაინიშნეთ პრემიერ-მინისტრის მოადგილედ. კურირებთ აგროსასურსათო კომპლექსში შემავალ დარგებს. როგორი მდგომარეობა იყო თქვენი მოსვლისას ამ სფეროში?

— პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დავინიშნე თვენახევრის წინ. აგროსასურსათო კომპლექსი აერთიანებს სოფლის მეურნეობას, კვების მრეწველობას, მიწის რესურსების სახელმწიფო კომიტეტს, სატყეო დეპარტამენტს.

პირდაპირ ვიტყვი: ყველა ამ დარგში ერთობ მძიმე მდგომარეობა დამხვდა. ამ „მდგომარეობაში“ ვგულისხმობ არა მხოლოდ იმას, რომ ეს დარგები საერთოდ „მძიმე“, ტრადიციულად ჩამორჩენილ დარგებს წარმოადგენენ. „სიახლე“ ის აღმოჩნდა, რომ სამინისტროები თითქმის ვერ ფლობენ სიტუაციას, არ არის კოორდინაცია ძირეულ რგოლებს შორის, ჰორიზონტალური ინტეგრაცია — სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობას შორის; სახელმწიფო დავალებების შესრულებას არ ეწეოდა კონტროლი, უცხოეთის ქვეყნებს არ მიეწოდება საჭირო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პროდუქცია... მოკლედ, „კარგი რომ ვთქვათ, გიკვირდეთ, ავი რა გასაკვირია“.

— და მაინც, სანუგეშოს რას გვეტყვით?

— ამჟამად ჩვენი ძალისხმევა დასახლებული, რბილად რომ ვთქვათ, ხარვეზების აღმოსაფხვრელადაა მიმართული. კონკრეტულად თუ რას ვაკეთებთ ამ მიმართულებით, ამაზე მსჯელობით მკითხველს თავს არ შევაწყენ, როგორც იტყვიან, ეს ჩვენი პრობლემაა. ალბათ, უფრო საინტერესო იქნება იმის შეტყობა, თუ რა გავაკეთეთ, რას ვაკეთებთ მთელი ჩვენი მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრობლემების, განსაკუთრებით სასურსათო პრობლემების მოსაგვარებლად.

ყალბი თავმდაბლობის გარეშე უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ცოტა არაა გაკეთებული, კერძოდ, ზამთრისათვის, საცავებში შეტანილია კარტოფილის, ხახვის, ბოსტნეულის არცთუ მცირე მარაგი, დაწესებულია კონტროლი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გატანაზე; ამ დღეებში დავბრუნდი კიევიდან, სადაც მოვაგვარე უკრაინიდან რამდენიმე ათასი ტონა მარცვლეულისა და ფქვილის შემოზიდვის საკითხი (სამაგიეროდ, მივაწვდით ჩაის), ბულგარეთიდან შემოვიდა ხორბალი, ამ დღეებში ველოდებით ამერიკული ხორბლის შემოსვლას, უცხოეთში აღებული კრედიტების ბაზაზე გაფორმებულია ხელშეკრულებები სხვათასხვა სასურსათო პროდუქციის შემოტანაზე. მალე დაიწყება ამ ხელშეკრულებათა რეალიზაცია...

მაგრამ უცხოეთი ვერ გვიშველის, თუ ჩვენც არ გავანძრიეთ ხელი. რესპუბლიკურ თათბირებზე შევხვდით მევენახეობის, მეღვინეობის, მეწაიეობის, საკონსერვო და პურპროდუქტების მრეწველობის, მეცხოველეობის, მეფრინველეობის, სატყეო მეურნეობის დარგების მუშაკებს, რომლებზედაც დაისახა ამ დარგებში ვითარების გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი — რამეთუ უცხოეთის დახმარებით, რასაკვირველია, ჩვენს პრობლემებს ძირეულად ვერ გადავჭრით. და საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ სურსათის ექსპორტი საქართველოსთვის დამლუპველი გზაა. ჩვენ არ უნდა შემოგვქონდეს ბოსტნეული, სტაფილო, ჭარხალი, კარტოფილი. სირცხვილია, საქართველოში შემოგვქონდეს ისეთი პროდუქტები, რომლებიც იქით უნდა გაგვქონდეს...

ყველივე ამისათვის მოწოდებულია აგრარული რეფორმა, რომლის ქვაკუთხედია მიწის რეფორმა ანუ მიწის პრივატიზაცია, რაც გახდება საფუძველი სოფლად აგროეკონომიკური და სოციალური აღორძინებისა. საქართველოს მოსახლეობა ქართულმა მიწამ უნდა გამოკვებოს!...

შეწყდეს საქართველოს ძარცვა

ამრეწველო მასალების რესურსების საქართველოდან საზღვარგარეთ გატანამ ბოლო დროს რესპუბლიკისათვის კატასტროფული ხასიათი მიიღო. ამ მიზნით გამოყენებულია ჩვენი ქვეყნის ყველა ჭიშკარი: სარფი, ფოთის პორტი, საჰაერო გზა... მაგრამ სარფი ტოლს არავის უდებს ამ საქმეში. იგი ყველაზე მძლავრი არტერიაა საქართველოში შემორჩენილი სახელმწიფო ქონების უცხოეთში გასაზიდად. კარგადაა ცნობილი, როგორ „ებრძვის" სარფის საბაჟო საბაჟო წესების დამრღვევთ. ამ გზით საქონელი გააქვთ კერძო პირებს, ფირმებს, სახელმწიფო დაწესებულებებს და ორგანიზაციებს. გააქვთ ყველაფერი, რისი გატანაც ტექნიკურად მოხერხდება, ნებისმიერი სახის საქონელი, ნებისმიერი რაოდენობით: გრამობით, კილოგრამობით, ტონობით. ეზიდებიან როგორც ოფიციალურად, ისე ლიცენზიების გარეშე, ცხადია, საბაჟოს მოხელეთათვის შესაბამისი ანაზღაურებით. დიდი ოდენობით ტვირთის გასატანად ლიცენზია ბათუმშიც შეგიძლიათ შეიძინოთ გარკვეულ საფასურად. ამაში თავის სამსახურს შემოგთავაზებენ როგორც საქართველოს მოქალაქენი, ისე თურქეთიდან ბათუმში სტუმრად შემოსული ქართველები.

მიმდინარე წელს ოფიციალურად, ლიცენზიებით საქართველოდან გაიზიდა ასეული ტონა რკინისა და ფერადი ლითონის ნამზადი, ჯართი და ნარჩენი, ბენზინი, ნედლი ტყავი, ხის მასალა და სხვა საქონელი. მდგომარეობის ნათლად წარმოსადგენად გთავაზობთ საქართველოდან ლიცენზიებით გატანილი საქონლის ნუსხის მხოლოდ ერთ, მცირე ნაწილს:

ფირმა „ოქროს საწმისი" (თბილისი), გაიტანა თურქეთში: თითბერის სხმულები 2000 ტონა, ხის მორები 10 კუბური მეტრი, ფიცრები 10 კუბური მეტრი, თუთია 2000 ტონა, თითბერის ჯართი 2000 ტონა, რკინის ჯართი და მილები 10000 ტონა, ალუმინის ჯართი 5000 ტონა, სპილენძი 2000 ტონა.

ფირმა „ინიმპექსი" (ბათუმი). გაიტანა თურქეთში: დიზელის საწვავი 40000 ტონა, ნავთობი 20000 ტონა, ალუმინი 500 ტონა, ტიტანი 8000 ტონა, სპილენძი 2500 ტონა, ნიკელი 2000 ტონა, ბრინჯაო 2000 ტონა, რკინის არმატურა 5000 ტონა.

ფირმა „ვინარი" (თბილისი). გაიტანა თურქეთში: სპილენძი 1000 ტონა, ალუმინი 1000 ტონა, რკინის მავთული 1000 ტონა, თითბერი 1000 ტონა, რკინის. არმატურა 1000 ტონა, ბრინჯაო 1000 ტონა.

ფირმა „ერის იმედი" (ბათუმი). გაიტანა თურქეთში: რკინის ნამზადი 1050 ტონა, ცემენტი 250ტონა, მინა 3250 კუბური მეტრი, სპილენძის ჯართი და ნამზადი 461 ტონა, ალუმინის ჯართი და ნამზადი 530 ტონა, თითბერი 275 ტონა, ნიკელი 5 ტონა, ნავთი 1500 ტონა, ბენზინი 1000 ტონა, სოლარის ზეთი 2500 ტონა, საბურავები 5000 ცალი, ფიცრები 500 კუბური მეტრი.

კოოპერატივი „მესაჭე" (თბილისი). გაიტანა თურქეთში: შავი ლითონის ფურცლები 1500 ტონა, მოთუთიებული ფურცლები 1000 ტონა, რკინის მილები 1000 ტონა, ალუმინის ჯართი 1500 ტონა, სპილენძის ჯართი 1500 ტონა, თითბერი 1000 ტონა, ხის მასალა 1000 კუბური მეტრი, რკინის არმატურა 100 ტონა, ნედლი ტყავი 1000 ტონა, რკინის მავთული 1000 ტონა.

საწარმოო ფირმა „ორიონი" (თბილისი). გაიტანა თურქეთში: ალუმინი 2000 ტონა, სპილენძის ჯართი და ნამზადი 3500 ტონა, ნედლი ტყავი 220 ტონა.

ფირმა „ბეთქილი" (მესტია). გაიტანა თურქეთში: ხის ფიცრები 1200 კუბური მეტრი, სქელი ფანერი 1200 კუბური მეტრი, ალუმინის ჯართი 1000 ტონა, სპილენძის ჯართი 1000 ტონა, რკინის არმატურა 1000 ტონა.

ფირმა „კავთურა" (თბილისი). გაიტანა თურქეთსა და უნგრეთში: ალუმინის ჯართი და ნაწარმი 6000 ტონა, სპილენძის ჯართი 4000 ტონა, კობალტი 1000 ტონა, ნიკელი 500 ტონა.

ერთობლივი საწარმო „ლინკი" (თბილისი). გაიტანა ნიდერლანდებში: სპილენძის ნამზადი 19700 ტონა, უჟანგავი ფოლადის მილები 60 ტონა, სპილენძის ჯართი 200 ტონა.

მცირე საწარმო „კოლხეთი 1913" (ფოთი). გაიტანა იტალიასა და თურქეთში: სპილენძის ჯართი და ნამზადი 4000 ტონა, ნიკელი 1000 ტონა, ბრინჯაო 2000 ტონა, ალუმინის ნარჩენები 3000 ტონა, თითბერის ჯართი 1000 ტონა.

საქართველოს საპატრიარქო. გაიტანა თურქეთში: კალა 350 ტონა, ალუმინის ჯართი 1500 ტონა, სპილენძის ჯართი და ნარჩენები 2435 ტონა, ტყვიის ჯართი 400 ტონა, ნიკელის ჯართი 200 ტონა, თუთია 300 ტონა.

კოოპერატივი „წიდა" (რუსთავი). გაიტანა გერმანიაში: შავი ლითონი 5000 ტონა, სპილენძი 1000 ტონა, კობალტი 50 ტონა, თითბერი 1000 ტონა, ნიკელი 200 ტონა, ალუმინი 1000 ტონა, ბრინჯაო 300 ტონა, ტიტანი 20 ტონა.

ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებთ. ლიცენზიები გაცემულია ასზე მეტ ფირმასა და კოოპერატივზე.

ამჯერად თქვენს ყურადღებას შევაჩერებთ რესპუბლიკაში შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების მდგომარეობაზე.

შავი და ფერადი ლითონების ჯართი და ნარჩენები მეტალურგიის მეორადი მატერიალური რესურსებია. ისინი წარმოიქმნება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში; გროვდება, სახეობების მიხედვით დახარისხდება და მიეწოდება მრეწველობის სხვადასხვა დარგს ახალი პროდუქციის შესაქმნელად.

საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული წარმოება-დაწესებულებებიდან მეორადი შავი და ფერადი ლითონი უნდა ჩაბარდეს მატერიალური რესურსების სამინისტროს გაერთიანება „საქმეოლითს". ლითონების ჯართისა და ნარჩენების ჩაბარებაზე საწარმოების დავალებების მოცულობის განსაზღვრას საფუძვლად ედება ჯართწარმოქმნის ნორმები. ამდენად, მისი შესრულება საწარმოს მიერ სრულიად რეალურია. საწარმოების სიმძლავრეების შემცირების გათვალისწინებით, მიმდინარე წლისათვის შავი ლითონის ჯართის ჩაბარება განისაზღვრა 274000 ტონით, ხოლო ფერადი ლითონებისა — 8300 ტონით, რაც თითქმის 2,5-ჯერ ნაკლებია წინა წლების გეგმასთან შედარებით. მაგრამ თავისუფალი სავაჭრო ერთიერთობების დაშვებას მოჰყვა მეორადი ნედლეულის მასიური გადინება საზღვარგარეთ. საწარმოებისათვის მეორადი ლითონების მიწოდების ჩაშლის თავიდან აცილების მიზნით, რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით (1992 წ. ივნისი), შავი და ფერადი ლითონების ჯართსა და ნარჩენებზე ლიცენზიების გაცემა „საქმეოლითთან" შეთანხმების შემდეგ დაევალა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მთავარ სამმართველოს. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის მთავრობამ „საქმე განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანა" (?!), ჯართისა და ნარჩენების ჩაბარების საქმე თითქმის ჩაიშალა. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების მთავარი სამმართველო, დადგენილების იგნორირებით, ფორმალურად ათანხმებდა „საქმეოლითთან" უკვე გაცემულ ლიცენზიებს. წარმოება-დაწესებულებებმა არ შეასრულეს ჩაბარების გეგმები. 8 თვის მონაცემებით, შავი ლითონის ჩაბარება შესრულებულია 43 პროცენტით, ფერადი ლითონებისა — 11 პროცენტით. მეორადი შავი და ფერადი ლითონების მიუწოდებლობის გამო მიმდინარე წელს მთელ რიგ ქარხნებში შეჩერდა საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის აუცილებელი პროდუქციის წარმოება, რასაც შეეძლო გადაეჭრა რესპუბლიკისათვის ბევრი სასიცოცხლო პრობლემა. ასე მაგალითად, ლითონების მეორადი ნედლეულის მიწოდების ჩაშლის შედეგად პროდუქცია ვერ აწარმოეს: ქუთაისის ლითოფონის ქარხანამ (ამზადებს შაბიამანს), ქუთაისის ავტოქარხანამ (აწარმოებს მანქანის ნაწილების სხმულებს), ქუთაისის ელექტრომექანიკურმა ქარხანამ (ამზადებს საყვინთავი ტუმბოების სხმულებს), რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ და თბილისის ქარხანა „ცენტროლიტმა" (თავისი პროდუქციით ამარაგებს თბილისის ჩარხმშენებელ ქარხანას) და ა.შ.

და ეს მაშინ, როცა ფირმებისა და კოოპერატივების მიერ მიმდინარე წელს გატანილია საზღვარგარეთ 218300 ტონა ლითონების ჯართი და ნამზადი. მათ შორის (ტონებში): სპილენძი 77845, თუთია 3723, ალუმინი 51030, ტყვია 2935, ნიკელი 6717, ტიტანი 9131, კალა 2850, კობალტი 1050, ბრინჯაო (90 პროცენტი სპილენძი, 10 პროცენტი კალა) 5635, თითბერი (60 პროცენტი სპილენძი, 40 პროცენტი თუთია) 18739, რკინა 48650. ლიცენზიები გაცემულია რეექსპორტისათვის. ვერ დავიჯერებთ, რომ 218300 ტონა ლითონი ექსპორტით შემოიტანეს რესპუბლიკაში იმ რამდენიმე თვის განშავლობაში, როცა ტვირთბრუნვა რკინიგზაზე შეუფერხებლად ხორციელდებოდა რუსეთიდან საქართველოში. მის შემოტანას 4000-ზე მეტი (!) სატვირთო ვაგონი დასჭირდებოდა. დოკუმენტურად დაუმოწმებელი ინფორმაციით, რუსეთში გაცემული ლიცენზიების ლითონით დასაქონლება ემეტესწილად ხდებოდა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო-დაწესებულებების ბაზაზე. ამას ადასტურებს ის საგანგაშო ვითარება, რომელიც ჩაიქმნა უკანასკნელ თვეებში საქართველოს საწარმოებში. გაძარცულია მთელი რიგი ქარხნები, მწყობრიდანაა გამოყვანილი წარმოების იარაღები. ჯართად გაქვთ უცხოური წარმოების უნიკალური დანადგარებიდან სპილენძშემცველი მოწყობილობა (ტრანსფორმატორები, ძრავები, კონტაქტორები), საღენები, ტყვიამოსილი კაბელი და სხვა.

მოგეხსენებათ, უცხოეთის ბაზრებზე ლითონები იყიდება არა რუსულ მანეთებში, და საკმაოდ ძვირადაც ფასობს. იანვარში ლონდონის ბირჟაზე 1 ტონა ლითონის ფასი იყო (დოლარებში): სპილენძის 2200—2260, ალუმინის 1250—1275, ნიკელის 7650—7800, თუთიის 1300—1360, კობალტის 8100—8200, სპილენძის ჯართის 1200— 1250, რკინის ჯართის 90—95. ცხადია მეტალურგიის მეორადი ნედლეულის ექსპორტი თითო-ოროლა კაცისთვის სარფიანი საქმეა. საქართველოსათვის კი იგი მხოლოდ ზარალის მომტანია.

რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 7 აგვისტოს დადგენილებით დროებით შეჩერებულია — 1992 წლის 1 სექტემბრიდან 31 დეკემბრამდე — საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიიდან შავი და ფერადი ლითონების ჯართისა და ნარჩენების ექსპორტი, მათ შორის რეექსპორტის მიზნით შემოტანილისა. ჩვენს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, რესპუბლიკის მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებისა ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ გადამალონ ლითონების ჯართი, ნარჩენები და ნამზადი საზღვარგარეთ-მათი გატანის მიზნით იანვრიდან, რეექსპორტზე აკრძალვის ვადის გასვლის შემდეგ. გამოვლენილია წარმოებები, რომლებიც მეორადი ლითონის ჩაბარების დავალებას არ ასრულებენ და ცდილობენ სხვადასხვა გზებით გაიტანონ იგი საზღვარგარეთ. მაგალითად, საქართველოს რკინიგზას აქვს დიდი რაოდენობით შავი ლითონის ჯართი; სახელმწიფოს ჩაბარა მხოლოდ 60 პროცენტი (7250 ტონა). მაშინ, როცა მისმა ხელმძღვანელობამ სცადა ხელშეკრულებით საზღვარგარეთ გაეტანა 30000 ტონა ლითონი, რაც ვერ განახორციელა „საქმეოლითის" ჩარევის შედეგად. ასეთივე მდგომარეობაა საავიაციო ქარხანაში, რომელმაც გეგმით გათვალისწინებული 400 ტონა ფერადი ლითონის ჩაბარების ნაცვლად, ჩააბარა მხოლოდ ერთ ტონა ლითონი, საზღვარგარეთ სარეალიზაციოდ კი გააქვს ასობით ტონა. შემოწმებით დადგენილია 100000 ტონაზე მეტი შავი ლითონის ჯართის დანაკლისი ფოთის პორტში. საეჭვო არაა, რომ იგი გატანილია საზღვარგარეთ გემით არაოფიციალურად.

რკინას და ფერად ლითონებს რესპუბლიკა არ აწარმოებს. ზოგი მათგანის საბადოც კი არ არის საქართველოში. ამდენად ამ ლითონების მეორადი ნედლეული მნიშვნელოვანი სიმდიდრეა ჩვენი ქვეყნისათვის, მას სტრატეგიული დანიშნულება აქვს.

ვფიქრობთ, შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად უნდა დაისახოს 11 ოქტომბერს არჩეულმა პარლამენტმა. ამისათვის მხოლოდ საბაჟოებში წესრიგის დამყარება არაა საკმარისი. აუცილებელია, მიღებულ იქნეს დამატებითი ნორმატიული აქტები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს მეორადი შავი და ფერადი ლითონების გამოყენების საქმეში. კერძოდ, შავი და ფერადი ლითონების ჯართი და ნარჩენები უნდა გამოცხადდეს სტრატეგიულ ნედლეულად და დაწესდეს მათზე სახელმწიფო მონოპოლია. საერთოდ აიკრძალოს ექსპორტი, მათ შორის რეექსპორტის მიზნით შემოტანილისა. ამ დოკუმენტების პროექტები საქართველოს სახალხო ფრონტს მზადა აქვს და წარუდგენს მათ პარლამენტს პირველივე შესაძლებლობისთანავე.

რუსუდან დუნდუა
საქართველოს სახალხო ფრონტის ქიმიის კომისიის წევრი

ბინძური კამპანიის ახალი ავტორი

ალბათ ყველას გახსოვთ შარშან საპრეზიდენტო არჩევნების წინ როგორი უსინდისო,არაკაცური კამპანია იქნა წამოწყებული ხელისუფლების მიერ სახალხო ფრონტის თავმჯდომარის ბატონ ნოდარ ნათაძის წინააღმდეგ.

25 მაისს „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ნოდარ ნათაძეს ქართველთა შორის ანტაგონიზმის უკიდურესობამდე გამწვავებაში სდებს ბრალს.

ვისაც ოდნავ მაინც აქვს შერჩენილი სინდისი, აღიარებს,რომ ნ.ნათაძე ის პიროვნებაა, რომელიც ყველა-ზე თავგამოდებით იბრძოდა ძმათა შორის სისხლისღვრის ასარიდებლად , რომელიც დღენიადაგ „ზღვის გვარდიასა“ და პარლამენტს შორის დარბოდა კონფლიქტის მშვიდობიანად მოსაწერიგებლად.

ნ. ნათაძე ის პიროვნებაა, რომელიც ახალ დროში უკვე სამეგრელოსა და თბილისს შორის იყო გაკრული მშვიდობის მოციქულად.

მაშ რატომ არის იგი ქართველთა შორის ანტაგონიზმის ჩამომგდები?

წითლებს გვეძახისო, აი, მირიანაშვილის პასუხი.

წითლებს თქვენ ნათაძე კი არა, მთელი საქართველო გეძახით და ამ ბინძური კამპანიით თვითვე დაადასტურეთ, რომ დიახაც წითლები, კომუნისტების ერთგული მემკვიდრეები ბრძანდებით...

განა დემაგოგის მეტი იტყვის ვინმე, რომ ნ. ნათაძე პერესტროიკის შემდეგ ჩაება მხოლოდ ეროვნულ მოძრაობაში, როცა გმირობა იოლი იყო? არადა, ასე ბრძანებს მირიანაშვილი.

ჯერ ერთი,პერესტროიკის შემდეგ მაინც თუ ჩაება ადამიანი სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში, არც ეს არის ურიგო საქმე, რადგან ბლოკ „მშვიდობა-ში“ რამდენიც გნებავთ იმდენი პიროვნებაა,რომელთაც ბოლო დრომდე ვერ გამოიღვიძეს, რომელნიც 9აპრილის შემდეგ, როცა ხალხი სატანისთავიან მანდატებს ყრიდა, თავად ცეკაში მიძვრებოდნენ თანამდებობების დასაკავებლად.

მეორეც, ბატონი ნოდარ ნათაძე პერესტროიკის შემდეგ კი არ დაადგა იმ საქმეს, რომელსაც ემსახურება არამედ იმ დროიდან, როცა მირიანაშვილი ამ ქვეყნად მოვლენილი არ იყო,სუკის საკანშიც ჯერ კიდევ იმ დროში, 50-იანი წლების ბოლოს მოათავსეს. მართალია, მცირე ხანს, მაგრამ ფაქტია,რომპერესტროიკის შემდეგ გარდასაქმნელი მას არაფერი ჰქონია. ამ მცირე რეპლიკით ყველაფერს ვერ ვიტყვით , თ.მირიანაშვილმა თავადაც კარგად უწყის,ნ.ნათაძე პერესტროიკის შემდეგ გახდა გაბედული მოღვაწე, თუ მანამდეც არ აკლებდა ხელს კომუნისტ მმართველებს. იცის, მაგრამ ბინძური კამპანიის სცენარში ამის გახსენება არ ივარაუდება.

და ბოლოს თ. მირიანაშვილმა მთავარ მიზანს რომ მიაღწიოს ანუ ხმები წაართვას ბლოკ „11 ოქტომბერსა“ და ბატონ ნოდარ ნათაძეს, მოსთქვამს: ედუარდ შევარდნაძეს უფლებები არ გააჩნია „არც სამხედრო რეფორმის განხორციელების საშუალება მიეცა და არც უმაღლესი მთავარსარდალის უფლებამოსილება აქვს“-ო, სამწუხაროდ ეს ასეა, მაგრამ ნათაძე, ამხანაგო თემურ, სწორედ იმის მომხრე იყო და არის, რომ შევარდნაძეს ჰქონოდა და ჰქონდეს მეტი უფლებები, ვიდრე ოთხეულის დანარჩენ სამ წევრს. ამ აზრის წინააღმდეგ სახელმწიფო საბჭოში ვინც წავიდა თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ,მაგრამ მის გვარს არ ახსენებთ. იმ კაცისა გეშინიათ და იმიტომ, ნათაძე კი საშიში კაცი არ არის და როგორც გინდათ ისე ჭრით და კერავთ.

ეს ამბავი არ გვიკვირს, რადგან წითლებს ეგრე გჩვევიათ, ვისიც გეშინიათ ფახებს ულოკავთ,ვისიც არა და ფეხებზე იკიდებთ.

გვითქვამს ... ეგეთ-რებთ, ბლოკ „მშვიდობაში“ არიან პიროვნებები, რომელთაც პატივს ვცემთ, მაგრამ მირიანაშვილი და მისი მსგავსნი იძულებულს გვხდიან მათ შემოტევებს არ გავუყუჩდეთ.

მხოლოდ ბლოკ „11 ოქტომბერს“ კი არა, პოლიტპატიმრები ჩვენც გვყავსო, ტრაბახობს მირიანაშვილი. იმას კი აღარ დასძენს, რომ ბლოკ „11 ოქტომბრის“ სიაში სუკისაგან შეწყალებული პოლიტპატიმრები არ გვყავს...

ყოფილი წითლები ჩვენთან კი არა, თქვენთანაც არიანო, ამას ნიშნისმოგებით გვეუბნება ავტორი. ჩვენი გაზეთის ამავე ნომერში ვაქვეყნებთ საარჩევნო უბნებში წარდგენილ ცნობილ პიროვნებათა სიებს, გვიბრძანონ ერთი, რომელია მათგან ყოფილი წითელი. ჩვენ კი, ვეტყვით, რომ თითოელი ამათგანი ახლო წარსულში სწორედ ყოფილი წითლებისგან ტანჯული ხალხია, მერე და რისთვის? სამშობლოს სიყვარულისათვის!

ბლოკ
„11 ოქტომბრის“
პრესცენტრი

შეგახსენებთ საარჩევნო ბლოკ „11 ოქტომბრის“ მიერ წარდგენილ დეპუტატობის რამდენიმე კანდიდატს

ნათაძე ნოდარ რევაზის ძე, დაბ. 27.05.1929, ფილოლოგი, მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის სექტორის გამგე, ცხინვალის რეგიონის პრობლემათა სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე, სახალხო ფრონტის თავმჯდომარე.

კოღუაშვილი პაატა პეტრეს ძე, დაბ. 05.09.1956, აგროეკონომისტი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე, სახელმწიფო საბჭოს წევრი, სახალხო ფრონტის წევრი.

გრიგალაშვილი ნოდარ ოთარის ძე, დაბ. 03.05.1958, მწერალი, მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, თსუ-ს მეცნიერმუშაკი, გაზ. „საქართველოს“ მთავარი რედაქტორი, სახალხო ფრონტის წევრი,

ხუციშვილი სოლომონ გიორგის ძე, დაბ. 20.01.1908, ლიტერატორი, თსუ პროფესორი, უპარტიო.

შენგელაია ირაკლი (იროდი) გიორგის ძე, დაბ. 10.01.1947, ლიტერატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის თავმჯდომარე, ასოციაცია „თავისუფალი აზრის“ პრეზიდენტი, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის წევრი.

ბერძენიშვილი დავით ვალერიანის ძე, დაბ. 04.08.1960, ისტორიკოსი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, .ბერძენიშვილის სახ. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, რესპუბლიკური პარტიის წევრი.

გამყრელიძე თამაზ ვალერიანის ძე, დაბ. 23.10.1929, ფილოლოგი-აღმოსავლეთმცოდნე, სახელმწიფო საბჭოს წევრი, მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, უპარტიო.

ხაინდრავა გიორგი ლევანის ძე, დაბ. 07.07.1956, კინოოპერატორი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, სტუდია ტმს-ის სამხატვრო ხელმძღვანელი, უპარტიო.

გოცირიძე რომან რაუდენის ძე, დაბ. 07.11.1956, ეკონომისტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პრემიერ-მინისტრის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, სახალხო ფრონტის წევრი.

ხაინდრავა ივლიანე ლევანის ძე, დაბ. 08.04.1951, ჟურნალისტი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, გაზეთ „ნოვაია გაზეტას“ მთავარი რედაქტორი, რესპუბლიკური პარტიის წევრი.

ჯუღელი ემირ პავლეს ძე, დაბ. 28.09.1938, მენეჯმენტის სპეციალისტი, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სახალხო ფრონტის წევრი.

კიკალეიშვილი მამუკა ანდროს ძე, დაბ. 10.08.1960, მსახიობი, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი, უპარტიო.

ნადირაშვილი ზოთა ალექსანდრეს ძე, დაბ. 26.06.1926, ფსიქოლოგი, მეცნ.აკადემიის დ.უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, სახალხო ფრონტის წევრი.

მაღულარია გივი ნოეს ძე, დაბ. 20.05.1926, მწერალი, უპარტიო.

ბერიშვილი გურამ დავითის ძე, დაბ.20.11.1933, მათემატიკოსი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის მოდელირების განყოფილების გამგე, რესპუბლიკური პარტიის წევრი.

ზურაბ ბაბრატის ძე მამულაშვილი — დაიბადა 1948 წელს, ქ. თბილისში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და როსტოვის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი. 1966 წლიდან მუშაობს რკინიგზაზე. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. ამჟამად საქართველოს რკინიგზის შეიარაღებული დაცვის სამსახურის უფროსია. კენჭს იყრის ბლოკ „11 ოქტომბრის“ სიით თბილისის № 2 საარჩევნო ოლქში.

რამდენიმე შტრიხი ბიოგრაფიისათვის: თავის დროზე ბატონ ზურაბ მამულაშვილის უშუალო ინიციატივით სამსახურიდან განთავისუფლებულ და საქართველოდან გაძევებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და თავდაცვის საბჭოს წევრი, ა/კ რკინიგზის უფროსი ვიქტორ ბლაჟიევსკი, როგორც 9 აპრილს თბილისში საკომენდანტო საათის შემოღებისა და ჯარების შემოყვანის უკანონო, დანაშაულებრივი გადაწყვეტილების ერთ-ერთი მონაწილე.

მისივე ინიციატივით ამიერკავკასიის რკინიგზამ რუსთაველის საზოგადოების განსახლების ფონდში გადაირიცხა 2,5 მილიონი მანეთი სტიქიით დაზარალებულთა და უსახლკაროდ დარჩენილთათვის ბინების შესასყიდად.



ზურაბ მამულაშვილი:

ჩვენ პროფესიონალები გვჭირდებიან

— ბატონო ზურაბ, თქვენი თანამდებობის გამგონე კაცს უმალ რკინიგზის აფეთქებების, მატარებლების ძარცვა-გლეჯის ფაქტები და საერთოდ, რკინიგზის მუშაობაში არსებული უწესრიგობანი გაახსენდება. რა კეთდება ამ ჭაოსის გამოსასწორებლად (დასაძლევად) დღესდღეობით და რა არის გასაკეთებელი სამომავლოდ?

— მე კარგად მესმის ჩვენ უბრალო მოქალაქის პოზიციიდან ნაკლებად აინტერესებს, თუ რა ობიექტური მიზეზები უშლიან ხელს რკინიგზის დაცვას. იგი ქმედით ღონისძიებებს მოითხოვს — მოითხოვს, რომ ყველა საპასუხისმგებლო რგოლი ჩაბარდეს კომპეტენტურ და ენერგიულ ადამიანებს, რომლებიც ბოლ[illegible]ებოლოს, შესძლებენ მოძალებული ბორტიტება შეაჩერონ.

დაშაინც ვიტყვი: ჩვენს სისტემაში მდგომარეობის სირთულის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ ბანდიტებმა შესძლეს მოსახლეობის ჩართვა თავიანთ „[illegible]ანობაში“, ერთისმხრივ, ხოლო, მეორეს მხრივ, საერთოენა მოძებნ[illegible] ოფიციალურ ორგანოთა წარმო[illegible] გენლებთან. ამ ჭაოსში ძნელი გასარკვევია, სად მთავრდება სისხლის სამართლის დანაშაული და სად იწყება პოლიტიკური აქტი.

მე თავად შევესწარი, როგორ ძარცავდა რკინიგზის შემადგენლობას დაახლოებით ხუ[illegible]ათასი კაცი. ხორბალი თხუთმეტ კ[illegible]ომეტრზე იყო გაფანტული. ჩვენთვის ესოდენ საჭირო პროდუქტს ღორები ნთქავდნენ. დაცვა უძლური იყო. ჰაერში გასროლებისა აღარავის ეშინია, უკიდურესი ზომების მიღება კი ძალზე იოლია აქ კაბინეტში და არა იქ, სადაც ასობით ბავშვი და ქალი ტრიალებს. ეს იყო შემზარავი სანახაობა და, ვინ იცის, რამდენი მსგავსის ნახვა მომიწია 1992 წლის აპრილიდან — მას შემდეგ, რაც ამ თანამდებობაზე ვმუშაობ. კარგად გამიგეთ: მე ვიყავი სამაჩაბლოში, ვიყავი აფხაზეთშიც და არსად ასე უმწეოდ არ მიგრძვნია თავი.

არის კიდევ ერთი გარემოება. რკინიგზის ობიექტების დაცვას ძირითადად ისეთი კატეგორიის მუშაკები ემსახურებოდნენ, რომელთაც აწყობდათ ჩვენთან არსებული მორიგეობის სისტემა. თავის დროზე ეს იყო უხიფათო და წყნარი სამუშაო, თანაც ერთი დღე — ღამის მორიგეობის შემდეგ სამი დღე ისვენებდნენ. ორი-სამი წლის წინ ნებისმიერი პენსიონერი ბერიკაცი შესძლებდა აქ მუშაობას. დღევანდელ გართულებულ პირობებში კი, მოგეხსენებათ, სულ სხვა კატეგორიის ადამიანებია საჭირო.

ახლა რაც შეეხება კონკრეტულ შემთხვევებს. აღმოსავლეთ საქართველოში ძირითადად ვაკონტროლებთ მდგომარეობას და ეს მაშინ, როდესაც ასეთი ძარცვა-გლეჯაა გაბატონებული. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ იმდენს მაინც მივაღწიეთ, რომ ბანდიტები ახლოს არ ეკარებიან იმ შემადგენლობებს, რომელთაც ჩვენი დაცვა მიჰყვება. სამწუხაროდ, ისინი კარგად არიან ინფორმირებულნი და უმეტეს შემთხვევაში იციან, რომელ შემადგენლობას უნდა დაესხან თავს. არ მიწყინონ მეგობრებმა და ჩვენ ხშირად სატრანსპორტო პოლიციის ფუნქციის შესრულებაც გვიწევს. ხდება პარადოქსური შემთხვევებიც, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი რაიონის პოლიციამ ჩვენი ბიჭები დააკავა და ძალის გამოყენებით მოითხოვდნენ, რომ დაეფიქსირებინათ ძარცვის ფაქტი. თქვით, რომ მეზობელ რაიონში მოხდაო. მოკლედ, ქაოსი ქაოსს შობს. ყველაფერთან ერთად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხელისუფლებას ბოლომდე არ ესმის ჩვენი სამსახურის მნიშვნელობა. როდესაც ყველა ამ პრობლემამ თავი მოიყარა, მოვძებნეთ ასეთი გამოსავალი. შეიარაღებული დაცვა სამეურნეო ანგარიშზე გადავიყვანეთ. ეს საშუალებას გვაძლევს, კადრები გულმოდგინედ შევარჩიოთ და, რაც მთავარია, ვიხსნათ უბრალო მსროლელები იმის აუცილებლობისაგან, რომ დამატებითი შემოსავლის წყარო ეძებონ. ჩვენ პროფესიონალები გვჭირდება.

— როგორ ხდება რკინიგზის დაცვაში ჯგუფების დაკომპლექტება, სტაჟიურად, ასე ვთქვათ, გასაუბრების წესით, თუ მკაცრი შერჩევის პრინციპით?

— ამ საკმეზე განსაკუთრებული კონტროლი დავაწესეთ. ჩვენს დროში ყველა გაბედული მამაკაციც კი ვერ შესძლებს შემადგენლობის დაცვას. აუცილებელია კარგი ფსიქოლოგიური მომზადება. ერთხელ შემადგენლობას აფხაზეთში ნაომარი ბიჭები გავაყოლეთ. მათი იმედი სრულიად შეიძლება ჭონოდა კაცს. მცირე მანძილის გავლის შემდეგ შემადგენლობა რელსებზე გარდიგარდმო გადადებული მორით გააჩერეს, ხოლო მსროლელებს აკიკვლებული ქალები და ბავშვები მიუსიეს, ბიჭები სიმწრით ტიროდნენ.

მოკლე დროის განმავლობაში ტვირთს სამაჩაბლოში ნაბრძოლ ერთ ჯგუფს ვაყოლებდით. მათ იოლად აუღეს ალღო სიტუაციას და ძარცვის არც ერთ ფაქტს არ აქონია ადგილი. შემდეგ ისინი კვლავ საძაჩაბლოში გაბდნენ საჭირო.

უკვე ხორციელდება რკინიგზის დაცვის სპეციალური მომზადების პროექტი. იგი საომარ მდგომარეობაზეც არის გათვალისწინებული. ომის შემთხვევაში ჩვენ ხომ შინაგან ჯართან ერთად უნდა ვიმოქმედოთ.

**— ბოლო დროს ეს გაგონებულა გვქონია რომელიმე [illegible] [illegible] [illegible]

მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს

გიორგი გიძინას ძე ჯაფარიძე

წავიდა და განუზომელი ტკივილი დაგვიტოვა. ტკივილი და კიდევ უსაშველო სიცარიელე.

სამწუხაროდ, ამგვარ სიცარიელეს ადამიანის სიკვდილის შემდეგ უფრო მწვავედ ვგრძნობთ ხოლმე. მაგრამ ვაი, რომ გვიანღაა.

— ყოველთვის, როცა საქართველოს უჭირდა, იდგა იქ, სადაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა მამული. სამშობლოს ღირსებას იცავდა ეროვნული გვარდიის ოფიცერი, ჭეშმარიტი მამულიშვილი.

... ამბობენ, დიდი ადამიანების ხიცოცხლე უხმაუროდ იფერფლებაო. ამ დიდბუნებოვანმა ადამიანმა სიკვდილიც უჩვეულო ირჩია.

2 ოქტომბერს გაგრაში შეწყდა მისი ლამაზი, ვაჟკაცური სიცოცხლე. მომხდური მტრის დარტყმას მეგობარ თანამებრძოლებთან ერთად შეუშვირა მკერდი და საკუთარი სიცოცხლის ფასად მრავალი ბავშვისა და მოხუცის სიცოცხლე იხსნა, რომლებმაც ქალაქიდან გახიზვნა მოასწრეს. იმ დღის შემდგ აღარაკის უნახავს.

გულსატკენია, რომ მისი გმირული აღსასრულის ამბავს ლეგენდასავით ვერ მოუყვებიან მის შვილებსა და შვილიშვილებს, რადგან საკუთარი ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო საზოგადო საქმეზე გადაგებულმა. ეროვნულ მოძრაობაში პირველივე დღიდან მოსულმა პირნათლად აღასრულა ვალი სამშობლოს წინაშე და ისე განერიდა წუთისოფელს.

... უდროოდ წავიდა და განუზომელი ტკივილი დაგვიტოვა, ტკივილი და ლაღი იუმორი, რომელიც ასე უყვარდათ მის ახლობლებსა და მეგობრებს.

ალბათ, გვაპატიებს, რომ ბედის უკეღლართობის გამო უკანასკნელ გზაზე ვერარ გავაცილეთ და ვერ მივაგეთ პატივი.

... ნათელი ადამიანი იყო და მარადიულად ნათელში შეაბიჯა.

მეგობრები

გიორგი გრიგოლის ძე ციბაძე

მაინც რამდენი ჰყოლია საქართველოს შვილი დასაკარგავი?! ახლაღა ვხვდებით, როცა სისხლში იხრჩობა საქართველო, მამაცი შვილების სისხლში. თვალსა და ხელს შუა გვეცლებიან ბიჭები, დატირებასაც ვეღარ ვასწრებთ, მიდიან და მიდიან...

მხოლოდ სამი ათეული წელი იცხოვრა ჩვენს შორის. მეტი არ დასცალდა. აფხაზეთში ვერაგი მტრის ტყვიამ შეიწირა მისი სიცოცხლე. უდროოდ დაობლდა ოჯახი. მისი სიცოცხლე ბევრს დააკლდა — ახლობლებს, მეგობრებს, საქართველოს, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც მის ორ მშვენიერ გოგონას.

ქუთაისში დაბადებულსა და გაზრდილს, თბილისშიც უამრავი მეგობარი ჰყავდა. ყველას სიყვარულს იტევდა ამ ერთი შეხედვით უდარდელი ბიჭის გული.

უზომოდ უყვარდა საქართველო. პირველივე საგანგაშო დაძახილზე, ეროვნული გვარდიის ოფიცერი, უყოყმანოდ მიდიოდა ბრძოლის წინა ხაზზე. სამაჩაბლოდან თუ ყველა იმ ბრძოლიდან, რომელიც უკანასკნელ წლებში გადაიტანა საქართველომ, უვნებელი დაბრუნდა. აფხაზეთში უმუხთლა ბედმა.

გაქრა კიდევ ერთი მებრძოლი სული, რომელიც ასე სჭირდებოდა დღეს საქართველოს.

მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის საქართველოს მიწა, რომლის დაცვასაც შეეწირა იგი.

მეგობრები

ზურაბ ბურნაძე

დაიბადა 1969 წლის 12 თებერვალს. იგი ყოველთვის იდგა იქ, სადაც სამშობლოს თავისი საუკეთესო შვილების სამსახური სჭირდებოდა. დაიღუპა 30 აგვისტოს დაბა კოლხიდას განთავისუფლების დროს...

სულ ამ რამდენიმე სიტყვაში ეტევა ის ტკივილი და მონატრება, საყვარელი ადამიანის ამ ქვეყნიდან წასვლა რომ იწვევს... არ ვიცით, რა ვთქვათ, საკუთარ თავს სამძიმარი როგორ უნდა ვუთხრათ ...

სიცოცხლის სადღეგრძელო გიყვარდა და ტკბილი მოგონებები... სამშობლოს რომ დასჭირდა, სიცოცხლე იოლად დათმე, ჩვენ კი ტკბილი მოგონებების მეტი არაფერი დაგვიტოვე. მაგრამ შენი სიცოცხლე ხომ მიწიერი სიკვდილით არ დამთავრებულა, ზურა... ჩვენ კი ვიცოცხლებთ მხოლოდ იმ იმედით, რომ შენ, ახლა უკვე სულეთის მარადიულ ბინადარს, შეგხვდებით იქ, სადაც არც ომია, არც სისხლი და არც ცრემლი, სადაც მხოლოდ ის უდიდესი სითბო და სიყვარულია, შენ რომ დაგვიტოვე ...

მეგობრები

ძალად მაცხონე კანდიდატები

საქმე ეხება ბლოკ „მშვიდობის“ ზოგიერთ კანდიდატს. ზოგიერთსო, ვამბობთ, რადგან ვერ დაგვიჯერებია, რომ იმ ვირეშმაკობაში, რომელზედაც ორიოდე სიტყვით ქვემოთ მოგახსენებთ, ბლოკის სპიკერი ბატონი ვახტანგ გოგუაძე და სხვა რამდენიმე გონიერი კანდიდატი არის გარეული..

საქმე შემდეგში გახლავთ.

იმ მიზნით, რომ არ განმეორებულიყო წინა საპარლამენტო არჩევნების შეცდომა და ერთი კაცის ხათრით ამომრჩეველს სიის დანარჩენი წევრებისათვის არ მიეცა ხმა, ანუ არ მიგვეღო ფაქტობრივად ერთპარტიული პარლამენტი, ცალკეულმა პარტიებმა ერთი ვაიუშველებელი ასტეხეს — ედუარდ შევარდნაძე არცერთ პარტიასა თუ ბლოკს არ უნდა ჩაუდგეს სათავეშიო.

წინააღმდეგ შემთხვევაში, პირველ ყოვლისა, ვარაუდობდნენ იმას, რომ მოხდებოდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა 28 ოქტომბრის არჩევნების დროს.

მაშინ ზ. გამსახურდიას ხათრით პარლამენტში აღმოჩნდნენ მედოლეები, მძღოლები, მუდმივად უმუშევრები, რომელთაც ახალმწიფოს მართვა-გამგეობის ინჩი-ბინჩი არ იცოდნენ. შედეგი ყველასათვის ცნობილია.

ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტის წყალობით დღესაც მოსალოდნელი იყო მხოლოდ ერთ პარტიას ან ბლოკს გაენაღდებინა ადგილების დიდი უმეტესობა პარლამენტში.

სწორედ ამიტომ გადაწყდა — შევარდნაძე ცალკე იყრიდა კენჭს. გადაწყდა და ისიც ითქვა, რომ არც ერთ პარტიას ან ბლოკს არ გამოეყენებინა მისი სახელი და ამომრჩეველი შეცდომაში არ შეეყვანა.

მიუხედავად ამისა, ბლოკმა „მშვიდობამ“ გამოაქვეყნა საარჩევნო სია, რომლის თავში წარმოადგინეს შევარდნაძე.

რათ ჰქმენით ეს სიცრუეო, როცა ბლოკის წარმომადგენლებს ჰკითხეს სახელმწიფო საბჭოზე, მათ საბჭოს წევრებს აუხსნეს — ტექნიკური მიზეზების გამო დაგვემართაო.

ცხადია იცრუეს, მაგრამ საქმე აღარ გართულებულა.

დაინტერესებულმა პარტიებმა სთქვეს, ასეთი რამ მეორედ აღარ ჩაიდინოთო და „კონფლიქტი“ ამით დასრულდა.

მაინც ჩაიდინეს.

ბლოკ „მშვიდობის“ სატელევიზიო რეკლამაში ბლოკის ნამდვილ წარმომადგენლებთან ერთად ყოველდღიურად, რამდენიმეგზის უჩვენებენ შევარდნაძის სუფილებული შევარდნაძე და „მშვიდობა“, თითქმის ვერ შეედავები...

კომუნისტები საერთოდ ასე ცხოვრობდნენ. ისე გვატყუილებდნენ, ვერ შეედავებოდი, პირიქით, ისეთი ფორმით აკეთებდნენ ყველაფერს, რომ პირში ჩალაგამოვლებულს მადლობასაც კი გათქმევინებდნენ.

არც ეს საარჩევნო რეკლამაა, — „ხმა მიეცით ედუარდ შევარდნაძეს, ბლოკ „მშვიდობას“ და ავთანდილ დოლმაზაშვილს“ — უჭკუოდ გაკეთებული (იგი კახეთიდან ჩამოგვიტანეს). მართალია, მისი წამკითხველი იფიქრებს, სად ერეკლე და სად დოლმაზაშვილი, მაგრამ შევარდნაძის სახელის წყალობით ეს დოლმაზაშვილი თავის საქმეს გაინაღდებს, ასე იზამს „მშვიდობაც“ და სიცრუე „პოლიტიკოსთათვის“, აბა რა საძრახისია?..

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის ასოციაციასთან არსებული ტექნიკურ-ეკონომიკური ინსტიტუტი

აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 1992—1993 სასწავლო წლისთვის დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. გამოთვლითი მანქანების სისტემები და ქსელები;
2. მართვის და დაგეგმარების სისტემები და ქსელები;
3. კომპიუტერების სისტემების გამოყენება და ექსპლუატაცია;
4. სატრანსპორტო კავშირგაბმულობა;
5. ელექტრონული ფოსტა;
6. სპეცდანიშნულების კავშირგაბმულობის სისტემები;
7. სამეცნიერო ტექნიკური თარგმნა და საინფორმო ექსპერტიზა (ინგლისური, ფრანგული, გერმანული);
8. ბიოტექნიკური და სამედიცინო აპარატურის სისტემები;
9. ტელერადიო ჟურნალისტიკა;
10. ავტომატური ელექტროკავშირგაბმულობა;
11. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა;
12. მარკეტინგი;
13. მენეჯერი;
14. კოსმოსური კავშირგაბმულობა;
15. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება;
16. სამართალმცოდნეობა;

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე მოქალაქენი. აბიტურიენტები ჩაირიცხებიან გასაუბრების საფუძველზე. სწავლა ფასიანია. ერთი წლის სწავლების საფასური მიმდინარე წელს იქნება 8-დან 15 ათას მანეთამდე სპეციალობების მიხედვით.

მისი გადახდა შეიძლება, როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდ ანგარიშზე. აბიტურიენტები საბუთების შეტანისას იხდიან 200 მანეთს გასაუბრების საორგანიზაციო ხარჯების ასანაზღაურებლად (საბუთების გატანის შემთხვევაში აბიტურიენტს თანხა უკან არ დაუბრუნდება).

სწავლების ხანგრძლივობა დღის განყოფილებაზე 4 წელია, უმაღლეს დამთავრებულთათვის მეორე სპეციალობის მიღების მიზნით შემოღებულია დაჩქარებული სწავლების ფორმა, სწავლების ხანგრძლივობა 3 წელი, ხოლო იმ სტუდენტებს, რომლებსაც სურთ სწავლასთან ერთად მუშაობა, მათი ხელშეწყობის მიზნით შემოღებული იქნება სწავლების განსაკუთრებული ფორმა (გრაფიკი). ინსტიტუტის კურსდამთავრებულებს სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წარმატებით გავლის შემდეგ მიენიჭებათ სათანადო კვალიფიკაცია და მიეცემათ უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომი. ფრიადოსნებს დაენიშნება სტიპენდია.

განსაკუთრებული ღირსებით და ცოდნით დაჯილდოებული ერთი სტუდენტი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით თავისუფლდება სწავლების საფასურის გადახდისაგან ან დაენიშნება სახელობითი სტიპენდია რექტორის ხელფასიდან.

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელებმა განცხადებას უნდა დაურთონ:

1. ატესტატი ან საშუალო სპეციალური განათლების მოწმობა (დედანი);
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა №85);
3. 6 ფოტოსურათი (3X4);

პასპორტს ან სამხედრო მოწმობას წარმოადგენენ პირადად.

საბუთების მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა 10 საათიდან 17 საათამდე.

აბიტურიენტთა შერჩევა ტარდება 10 ოქტომბრიდან.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ბევრეთის ქ. 8; ტელეფონები 72—44—44; 98—78—78;72—35—35;

ტრანსპორტი თავისუფლების მოედნიდან:

ტროლეიბუსები 7, 10.

ავტობუსები — 39, 23, 226, 227.

გაჩერება კრწანისის მოედანი (ბაგრატიონის ძეგლი)

ინდექსი 66447

ფასი 5/მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, თავისუფლების მოედანი, კუშკინის ქ. 5 ტელ: რედაქტორი: 93-20-36, მოადგილე: 93-18-41.
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალებს ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი
ნოდარ
გრიგალაშვილი